საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 30 ოქტომბერი 2011 წ.

ბრძანება № 121

**სახელოვნებო-ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში
პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციის
ჩატარების შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51–ე, 52–ე და 53–ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1. 2011 წლის 25-26 ნოემბერს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში გაიმართოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია სახელოვნებო-ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში.
2. დამტკიცდეს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი, თანახმად დანართისა.
3. ბუღალტერიამ უზრუნველყოს კონფერენციის საორგანიზაციო ხარჯების დაფინანსება, საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ხარჯთააღრიცხვის მიხედვით.
4. ბრძანება დაეგზავნოს საორგანიზაციო კომიტეტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბუღალტერიას და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N 4).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ე. მესხია**

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის
2011 წლის 30 ოქტომბრის N 121 ბრძანების
დანართი

სახელოვნებო-ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

ერმილე მესხია	რექტორი, სრული პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;
მაია ჭიჭილეიშვილი	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ხარჩილავა	სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აკადემიური დოქტორი
მამუკა ჯორბენაძე	სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
ხათუნა მანაგაძე	მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
სოფიო თავაძე	ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
რატი ჩიბურდანიძე	ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპარტამენტის ასისტენტ–პროფესორი;

სწორია: